ხელშეკრულება N35020306/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

15 მარტი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ შპს „კინდ-სმენა" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ქევანიშვილის სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად"), ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებითა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის (CPV კოდი 85300000) შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით (შემდგომში - „დადგენილება") დამტკიცებული „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის" (დანართი N1.6.4 შემდგომში; შემდგომში - „კომპონენტი") მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების უწყვეტად განხორციელება.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმღებ ბენეფიციარებს (შემდგომში - „ბენეფიციარები") წარმოადგენენ „კომპონენტის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები.

3. მომსახურების გაწევის ვადების და პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2017 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „დადგენილებით" გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

3.3. „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს „ბენეფიციარებისთვის" კოხლეალური იმპლანტის მორგება-რეგულირება (ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად).

3.4. ამ მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა, მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების გარდა, აგრეთვე შეიძლება შეწყდეს 2017 წლის შესაბამისი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების და/ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების შემდეგ.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეული მომსახურების ღირებულება შეადგენს - 3 000 (სამი ათასი) ლარი.

4.4. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომსახურება გაუწიოს ყველა ბენეფიციარს, რომელიც მიმართავს „მიმწოდებელს" „შემსყიდველის" გადაწყვეტილების საფუძველზე (მათ შორის, ერთი და იგივე „ბენეფიციარის" რამდენჯერმე მიმართვის შემთხვევაშიც) და არ მოითხოვოს დამატებითი ანაზღაურება წინამდებარე მუხლის 4.1. და 4.2. პუნქტებით განსაზღვრული ფასის ზემოთ.

4.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება მოხდება, საანგარიშო თვის განმავლობაში ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ 6.1.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტებისა (დანართები N1 და N2) და ინვოისის „შემსყიდველისთვის" წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტები და ინვოისი „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა.

5.3. ამ მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

5.4. წინამდებარე ხელშეკრულების N1 და N2 დანართების ამავე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაზე გვიან წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის დაკისრების გარდა, „შემსყიდველს" უფლება აქვს ანგარიშსწორების ვადა გაზარდოს დღეების იმ რაოდენობის პროპორციულად, რამდენი დღითაც დააგვიანა „მიმწოდებელმა" სათანადო ინფორმაციის/დოკუმენტების წარმოდგენა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას „დადგენილების“ და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

6.1.2. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას.

6.1.3. არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა „შემსყიდველს“ წარუდგინოს:

6.1.3.1. გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიში, ხელშეკრულების N1 დანართით („განხორციელებული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტი“) გათვალისწინებული ფორმით;

6.1.3.2. „მიღება-ჩაბარების აქტი“ ხელშეკრულების N2 დანართის მიხედვით.

6.1.4. ამ მუხლის 6.1.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ადმინისტირებას და/ან ამ მუხლის 6.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

6.1.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

6.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

6.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

6.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

6.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.3.1. აუნაზღაუროს -„მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების საფასური კანონმდებლობის შესაბამისად;

6.3.2. გააცნოს „მიმწოდებელს“ ამ მუხლის 6.4.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) აქტი. გაცნობად ჩაითვლება აქტის „შემსყიდველის“ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) გამოქვეყნება;

6.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

6.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

6.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

6.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;

6.4.3. განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი „შემსყიდველის“ სამართლებრივი აქტით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით.

6.4.4. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

7. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული (კალენდარული) დღისათვის.

8.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით ანაზღაურება.

8.4. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზრაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

9.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

9.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

9.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
9.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.
9.4. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიმწოდებელის" წერილობითი ინფორმირების შემდეგ:
9.4.1. თუ „მიმწოდებელს" „დადგენილებით" გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
9.4.2. თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
9.5. „შემსყიდველს" ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
9.5.1. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
9.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აგვისტომდე.

13. სხვა პირობები
13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
13.6. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით ეტაპობრივად, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან ინვოისს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში. მხარეები აგრეთვე თანხმდებიან, რომ გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ფორმები და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს დამატებით (ამგვარი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში), „შემსყიდველის" მიერ, რაც წერილობით ეცნობება „მიმწოდებელს".
13.7. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო

ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო გათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

13.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.10. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები N1 და N2 დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13.11. ხელშეკრულება შედგენილია 6 (ექვსი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	შპს „კინდ–სმენა"
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,	ქ. თბილისი, თ. მღვდლის ქ. №13
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	საიდენტიფიკაციო კოდი №204878365
	ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი 220101830
	ანგარიშის №GE40TB0600000003467879
თამაზ მოდებაძე	**ივანე ქევანიშვილი**

დანართი N1

განხორციელებული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი ———————— 2017 წელი

წინამდებარე აქტს ვადგენთ, ერთის მხრივ: ———————— შემდგომში „მიმწოდებელი“ და მეორეს მხრივ ———————— „ბენფიციარი“, მისი წარმომადგენლის ———————— – სახით მასზე, რომ საანგარიშო პერიოდში -----დან -----მდე „მიმწოდებელმა“ „ბენფიციარის“ მიმართ განახორციელა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და „მიმწოდებელს“ შორის 2017 წლის ------- გაფორმებული N———————— ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოხლეარული იმპლანტის მორგება–რეგულირება

განხორციელებული მომსახურების ღირებულება შეადგენს ———————— ლარს.

„ბენფიციარი“ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

„მიმწოდებელი“

,,ბენეფიციარი“

(,,ბენეფიციარის“ წარმომადგენელი)

ბენეფიციარის პირადი ნომერი: □□□□□□□□□□□

დანართი N2

მიღება–ჩაბარების აქტი N___

ქ. თბილისი ,,___" ,,_____" 2017 წელი

წინამდებარე აქტს ვადგენთ, ერთის მხრივ: სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ---------- სახით და მეორეს მხრივ შპს „კინდ სმენა" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმომადგენელი ---------- სახით, მასზე, რომ 2017 წლის ---------- ხელშეკრულების შესაბამისად, „მიმწოდებლის" მიერ 2017 წლის -------ში ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს _____ლარს.

აქტი შედგენილი 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე, იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება ,,შემსყიდველთან", ხოლო 1 (ერთი) ,,მიმწოდებელთან".

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელისმოწერით.

„მიმწოდებელი"

_____ ბ. ა.

„შემსყიდველი"
სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტო

_____ ბ. ა.

15 მარტი 2017 წელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით, „კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ N35020306/1 ხელშეკრულებაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

დირექტორის მოადგილე:

თამაზ მოდებაძე _____

ავთანდილ ვასაძე _____

ლელა მამულაშვილი _____

მარი წერეთელი _____

ვალერი გაზდელიანი _____